ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2020 წლის 27 მარტი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 29 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა კოვიდ-19-თან დაკავშირებით და მადლობა გადაუხადა ხობის მუნიციპალიტეტში შექმნილ მოხალისეთა ჯგუფს, რომლებიც ძალიან ბევრს აკეთებენ იმისთვის, რომ ამ ეპიდემიის დროს დახმარება გაუწიონ იმ ოჯახებს, რომელთაც ამის განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ, ეს იქნება საკვები პროდუქტები თუ პირველადი მოხმარების საგნები.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,
ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

3. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, კ. ნასარაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა თუ რა აუცილებლობა იყო 2,7 ათასი ლარის გადატანა შრომის ანაზღაურების მუხლიდან.

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განმარტა, რომ ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საფინანსო სამსახურის უფროსზე (დ. ჭოჭუა) და მერიის სამართლებრივი განყოფილების უფროსზე (ჯ. ბერაია) გაიცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო.

დისკუსიის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში მცირდება ხარჯები 237,3 ათასი ლარით. კერძოდ, 12,7 ათასი ლარით მცირდება პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" ასიგნებები; 41,5 ათასი ლარით - პრიორიტეტის „დასუფთავება და გარემოს დაცვა" ასიგნებები; 130,7 ათასი ლარით მცირდება პრიორიტეტის „განათლება" ასიგნებები; 52,4 ათასი ლარით - პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია. ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" ასიგნებები. გამოთავისუფლებული 237,3 ათასი ლარი მიიმართება „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" პრიორიტეტის „საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებები" ასიგნებაზე. 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით 875,3 ათასი ლარით იზრდება შემოსავლები „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) და მიიმართება პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" ასიგნებაზე, აქედან, „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ასიგნებაზე – 477,3 ათასი ლარი, 398,0 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია" ასიგნებაზე. ასევე, 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით გადიდდა შემოსავლები „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 2000,0 ათასი ლარით და მიიმართა პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" ასიგნებაზე. ასევე გადიდდა შემოსავლები „გრანტებიდან" (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) 784,0 ათასი ლარით და მიიმართა პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" ასიგნებაზე, „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა ჯამში გაიზარდა 2784,0 ათასი ლარით

და შეადგინა 16703,8 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილ პროექტში კომისიის მიერ მოხდა სათაურის კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ ცვლილება შედის ძირითად დოკუმენტში „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ". წარმოდგენილი ცვლილება ცალკე დამოუკიდებელი აქტი ვერ იქნება, რადგან კოდიფიცირებისას აქტის სათაური მთლიანად უნდა შეიცვალოს. გამომდინარე აქედან, სათაურიდან ამოღებულ იქნა „საგანგებო ბიუჯეტის დამტკიცება", ხოლო დადგენილების პროექტის პრეამბულაში დაემატა საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 70-ე მუხლი, რომელიც აძლევს ადგილობრივ თვითმმართველობას უფლებამოსილებას ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის დროს დაამტკიცოს საგანგებო ბიუჯეტი. სხვა მხრივ დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი პროექტის გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ა. ხურცილავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N6 ოქმს თან ერთვის)

2. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: გ. ჯობავა - გამომსვლელი დაინტერესდა პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში გაზიფიცირების საკითხი რა ეტაპზე იყო?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი მერიის კომპეტენციაში არ შედიოდა და აღნიშნულზე ინფორმაციას ვერ მიაწვდიდა.

ე. ჯობავა - სხდომის თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს (ზ. ბუკია) რომ მერიის შესაბამის სამსახურებს ყველა ინფორმაცია უნდა გააჩნდეთ მუნიციპალიტეტში მიმდინარე თუ მომავალში განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით, რაც მოსახლეობას აინტერესებს.

ა. ქირია - გამომსვლელი დაინტერესდა თუ რა ვითარება იყო ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ ჯერჯერობით არანაირი დაფინანსება და რეკომენდაციები არ მიუღიათ ზემდგომი ორგანოებიდან

ე. ჯობავა - გამომსვლელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მთავრობა დააჩქარებს დაფინანსების საკითხს, რადგანაც ქვეყნისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ამბულატორიების რეაბილიტაცია და დასძინა, რომ მათი მხრიდან ყველა დონეზე იქნება აღნიშნულ პრობლემაზე ინფორმაცია მიწოდებული და მისი აზრით აღნიშნული პრობლემა დროულად მოგვარდება.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს განუცხადა, რომ საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის (ვ. ქანთარია) არყოფნის გამო, დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-2 და მე-3 საკითხებთან დაკავშირებით კომისიის დასკვნებს, წარმოადგენდა ამავე კომისიის წევრი, საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისთვის" თავმჯდომარე კახა ლატარია და სთხოვა მას საკრებულოს წევრებისთვის გაეცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით

კ. ლატარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. პროექტების ინიციირება იწყება წინადადების მოწონების თაობაზე, საკრებულოს გადაწყვეტილებით და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის წარედგინება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ა. ხურცილავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N10 ოქმს თან ერთვის)

3. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების

მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრს (კ. ლატარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

კ. ლატარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №59 განკარგულებაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, რის გამოც საჭირო შეიქნა ზემო აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილების განხორციელება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ი. ნადარაია, ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N11 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2020 წლის 27 მარტის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. ტარიელ ალექსანდრია
6. თეა გელანტია
7. ბექა მამაცაშვილი
8. მერაბ ფილიპია
9. კახა ლატარია
10. თენგიზ აბაკელია
11. როლანდ სერგია
12. კოსტანტინე ნასარაია
13. დავით ცინაძე
14. რამინი ხილაძე
15. გოჩა სიჭინავა
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქამანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. ირაკლი ნადარაია
21. ავთანდილ ხუნჯუა
22. გია წულაია
23. გოჩა ჯობავა
24. აკაკი ხურცლავა
25. იგორი გოგოლაძე
26. კობა გოქაძე
27. მზია ლემონჯარია
28. ნიკოლოზ ვეკუა
29. მერაბი ნადარაია